

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

12.08 2014 წელი

1 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება -
საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის
დეპარტამენტი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 12/105

2012 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	5
დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	5
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	5
აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
პირობითი მოსაზრების საფუძველები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	6
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	11
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	11
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	17



დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს დეპარტამენტის ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.



აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. დეპარტამენტის მიერ, ბალანსზე რიცხულ აქტივებზე გაწეული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულებით არ არის გაზრდილი აქტივების ღირებულება.

✓ დეპარტამენტის მიერ 2012 წლის 24 გაფორმებულია N 34/15 ხელშეკრულება შპს „GAZ INSTALING COMPANY“-სთან ადმინისტრაციული შენობის გაზომვითი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებთან დაკავშირებით და გადახდილია 1015 ლარი. დეპარტამენტის მიერ არ არის გაზრდილი აქტივების საბალანსო ღირებულება¹.

¹ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-10 მუხლის, 22-ე მუხლის და 23-ე მუხლის პირველი პუნქტების მოთხოვნები.



2. დეპარტამენტის მიერ, აუდიტის პერიოდში გზებზე განთავსებული 1 144 ცალი 67 192 ლარის ღირებულების საგზაო ნიშნები არ არის ასახული ბალანსის საცნობარო მუხლში

საბუღალტრო ჩანაწერებიდან გამომდინარე, დეპარტამენტის მიერ დამზადებული 2 404 ცალი, 141 199 ლარის თვითღირებულების (ერთი ცალის საშუალო ფასი 58,7 ლარი) სხვადასხვა ზომის და ტიპის საგზაო ნიშნებიდან, გზებზე განთავსებულია 67 192 ლარის ღირებულების, 1 144 ცალი საგზაო ნიშანი. იმ პირობებში, როდესაც დეპარტამენტს სხვა ფასეულობების მოძრაობა ასახული აქვს საცნობარო მუხლში, გზებზე განთავსებული საგზაო ნიშნები არ არის ასახული აღნიშნულ მუხლში.

3. ბალანსზე რიცხული ტრაქტორები, სატვირთო ავტომანქანები და ერთი ერთეული 14 ტონიანი სასწორი ღირებულებითი შეფასებით არ არის აღიწერილი საბალანსო მონაცემებში.

დეპარტამენტის 2012 წლის 12 დეკემბრის N178 ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ განხორციელებულია ბალანსზე რიცხული და ფაქტობრივად არსებული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. კომისიის დასკვნით, დეპარტამენტში ფიზიკურად ადგილზეა 17 ერთეული დტ-75 ტიპის ტრაქტორი, 5 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება და ერთი ერთეული 14 ტონის ტვირთამწეობის სასწორი, რომელიც 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ღირებულებითი შეფასებით არ არის აღრიცხული საბალანსო ანგარიშებში².

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე დეპარტამენტის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების-საავტომობილო გზებისა და

² ტექნიკის ნაწილი ასახულია ბალანსში 2013 წელში.



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის ანგარიში

სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს დეპარტამენტის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

1. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ ფაქტობრივად გავლილი მანძილი და მძიმე ტექნიკა/ტრაქტორების მიერ ფაქტობრივად მუშაობის დროის ხანგრძლივობის რეალობა რისკის შემცველია.

საბუღალტრო ჩანაწერებიდან გამომდინარე, დეპარტამენტს მიმდინარე საქმიანობისათვის 2012 წელში გახარჯული აქვს 686 126 ლიტრი, 1 451 920,26 ლარის ღირებულების საწვავი, მათ შორის ბენზინი 33 258 ლიტრი, 69 990,6 ლარის ღირებულების და დიზელის საწვავი 652 868 ლიტრი, 1 381 929,46 ლარის ღირებულების. საწვავის ხარჯვის მდგომარეობის აუდიტით დადგინდა:

✓ ბალანსზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებზე და ტექნიკაზე საწვავის გაცემის, ჩამოწერის, შესრულებული სამუშაოს მოცულობის, გავლილი მანძილის, მუშაობის ხანგრძლივობის აღრიცხვისა და დადასტურებისათვის დეპარტამენტს ნაწარმოები აქვს ავტომობილის საგზაო ფურცლები და ტრაქტორის საგზაო ბარათები. საწვავის ხარჯვის საფუძველია ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ ფაქტობრივად გავლილი მანძილი, ხოლო მძიმე ტექნიკა/ტრაქტორებზე ფაქტობრივად მუშაობის ხანგრძლივობა/დრო. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ ხშირ



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

შემთხვევებში კამაზისა და მაზის ტიპის სატრანსპორტო საშუალებებზე ნაჩვენებია თვეში 3 326კმ, 5 714კმ, 7 142კმ, 8 928კმ მანძილის³ გავლა, ხოლო მძიმე ტექნიკაზე თვეში 200 სთ, 206 სთ, 227 სთ, 284 სთ ხანგრძლივობით⁴ მუშაობა, თუმცა აუდიტის პერიოდში წარმოდგენილ საგზაო ფურცლებში და საგზაო ბარათებში არ არის მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოდომეტრის (სპიდომეტრის) საწყისი და საბოლოო მაჩვენებლები, ხოლო ტრაქტორებზე მექანიზმის ფაქტობრივად მუშაობის დამადასტურებელი მოტო საათები. ხშირ შემთხვევებში საგზაო ფურცლებში და სამუშაოს შესრულების აქტებში არ არის იდენტიფიცირებული შესრულებული სამუშაოს კონკრეტული მანძილი (პიკეტაჟი) და დრო, რასაც დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ფორმის მიხედვით ითვალისწინებდა შევსებას. შესრულებულ და შესასრულებელი სამუშაოების მოცულობებთან და სახეობებთან დაკავშირებით არ არის შედგენილი დეფექტური და სამუშაოს შესრულების აქტები. სამუშაოს ფაქტობრივ შესრულებასთან დაკავშირებით შედგენილი აქტები ხელმოუწერელი და დაუდასტურებელია მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების მიერ, რასაც ითვალისწინებს დეპარტამენტის მიერ შექმნილი სამუშაოს შესრულების აქტის ფორმა.

✓ დეპარტამენტის მიერ, სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების მუშაობასთან დაკავშირებით ავტომობილის საგზაო ფურცლები და ტრაქტორის საგზაო ბარათების გამოწერა და გაცემა ხორციელდება თვეში ერთხელ, სადაც მითითებულია სამუშაოს დაწყებისა და დასრულების პერიოდი. იმ პირობებში, როდესაც მუნიციპალიტეტებში დეპარტამენტის წარმომადგენლების, უზნის უფროსებისა და მექანიზატორების მიერ ყოველთვიურად შედგენილია აქტები, თვის განმავლობაში ცალკეულ მექანიზმებზე ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებთან (30 ცალი მუხლუხის, 38 ცალი მუხლუხის თითის, წნევის მილების, მიმართველი საკისრების, სალნიკების, ზვენოს, დინამოს შეცვლა) დაკავშირებით, რემონტის პერიოდში მოცდენის/გაჩერების დრო უმეტეს შემთხვევაში არ არის ასახული საგზაო ბარათებში, აღნიშნულით არ არის შემცირებული მექანიზმების მუშაობის დრო⁵.

✓ აუდიტის პერიოდში დეპარტამენტს ცალკეულ მუნიციპალიტეტებში განხორციელებული აქვს ტყეში ახალი გზების გაყვანისა და არსებული გზის შეკეთებითი სამუშაოები. იმ პირობებში, როდესაც წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დგინდება ცალკეული გზის სპეციფიკურობა, სამუშაოს შესრულების ხარისხი, სირთულე და სხვა

³ ს/გ N26-07/2012წ, მძღოლი რ. ბოლქვაძე-3326კმ, ს/გN90-10/2012წ, მძღოლი რ. მესხიძე-7142კმ, ს/გ N89-09/2012წ, მძღოლი რ. მესხიძე-8928 კმ/გ N72-08/2012წ, მძღოლი მ.მეგრელიძე 5 714კმ და სხვა.

⁴ ს/გ N350-10/2012წ, მექანიზატორი თ.ჭაღალიძე, ს/გ N349-10/2012წ, მექანიზატორი შ. ზოიძე, ს/გ N342-09/2012წ, მექანიზატორი შ.ზოიძე და სხვა.

⁵ს/ბარათი N98/1-28/ 02/2012წ, მძღოლი შოთა ზოიძე, ნაჩვენებია პირველი თებერვლიდან 29 თებერვლის ჩათვლით 204 საათის უწყვეტყად მუშაობა, ხოლო 29 თებერვალს შედგენილია აქტი, რომ თებერვლის თვეში განხორციელებულია 2 737 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები და შეცვლილია 38 ცალი მუხლუხის თითი, 30 ცალი მუხლუხი, ერთი ცალი ნშ-50, 2 ცალი, ერთი ცალი მაღალი წნევის მილი და სხვა. ს/ბარათი. N97/1-28/02/2012წ. ს/ზ N104/1-30/03/2012წ და სხვა.



**აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში**

სახის სამუშაოების ჩატარება, ერთი კილომეტრი გზის გაყვანისა და შეკეთებისათვის სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მიერ ხარჯვაში ნაჩვენები საწვავის ოდენობები არსებითადაა განსხვავებული. მაგალითად, ქობულეთის მუნიციპალიტეტში სულ 4 700 გრძ/მ (ახალი 3 000 გრძ/მ; შეკეთება 1 700 გრძ/მ) გზაზე განხორციელებული სამუშაოებისათვის ჩამოწერილია 16 700 ლიტრი დიზელის საწვავი, მაშინ როდესაც ხულოს მუნიციპალიტეტში 8 300 გრძ/მ სიგრძის (ახალი 5 100 გრძ/მ; შეკეთება 3 200 გრძ/მ) ანალოგიური სახის სამუშაოების ჩატარებისათვის ჩამოწერილია 9 560 ლიტრი საწვავი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სულ 8 400 გრძ/მ გზაზე (ახალი 5 000 გრძ/მ; შეკეთება 3 400 გრძ/მ) განხორციელებული სამუშაოებისათვის ჩამოწერილია 6 134 ლიტრი საწვავი, ხოლო ქედის მუნიციპალიტეტს 10 000 კმ გზის (ახალი 5 200 გრძ/მ; შეკეთება 4 800 გრძ/მ) სამუშაოებისათვის ჩამოწერილი აქვს 15 033 ლიტრი საწვავი.

2. დეპარტამენტის მიერ, ბალანსზე რიცხული ტექნიკის შეკეთებისათვის ხარჯების ფაქტობრივი გაწევა და დარჩენილი, გამოსაყენებლად უვარგისი ნაწილების შემდგომი აღრიცხვა/განკარგვის მდგომარეობა რისკის შემცველია.

აუდიტის პერიოდში, ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით, დეპარტამენტის მიერ გაწეულია 167 819 ლარის ხარჯები. სათადარიგო ნაწილების შეცვლასთან დაკავშირებით წარმოდგენილია ყოველი თვის ბოლოს შედგენილი აქტები, რომელიც ხელმოწერით დადასტურებულია მუნიციპალიტეტებში დეპარტამენტის წარმომადგენლების და მექანიზატორების მიერ. ჩასატარებელ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით არ არის შედგენილი დეფექტური აქტები, ცალკეულ ტექნიკაზე ნაწილების შეცვლასთან დაკავშირებით შედგენილ აქტებში არ არის მითითებული კონკრეტულად როდის მოხდა დაყენება/შეცვლა და ვის მიერ. გარდა აღნიშნულისა, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ვერ ხდება იდენტიფიცირება მექანიზმების მწყობრიდან გამოსვლასთან დაკავშირებით. იმ პირობებში, როდესაც წარმოდგენილი აქტებით ტექნიკაზე შეცვლილია⁷ სხვადასხვა სახის ნაწილები, ტექნიკის საგზაო ბარათებში არ არის ასახული დროის მონაკვეთი, როდესაც დაზიანების გამო ვერ ხერხდებოდა მექანიზმების/სატრანსპორტო საშუალებების მუშაობა. მთლიანი სარემონტო სამუშაოებიდან ნაჩვენებია შეცვლაში მინიმუმ 124 194 ლარის ღირებულების ახალი მეტალის შემცველი ნაწილები, მაგრამ გამოცვლილი და გამოსაყენებლად უვარგისი ნაწილები არ არის აღიცხული, შესაბამისად არ არის შეტანილი საინვენტარიზაციო კომისიის მასალებში⁸ და არ არის გაპიროვნებული შესაბამის მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე.

⁶ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში გახარჯული საწვავის პროპორციით ერგებოდა ჩამოწერას $6134 \cdot 10000 / 8400 = 7\,302$ ლიტრი, 7730 ლიტრით ნაკლები.

⁷ ზვეწო, საკისრები, პალეცები, მუხლუხები, ძრავის რემკომპლექტები,

⁸ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანებით დამტკიცებული "საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების



3. ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების გზების მონაკვეთებზე ბეტონის დაგებასთან დაკავშირებით, სასაქონლო ზედნადებებში 350 კუბ.მ ბეტონის მიწოდებაზე სატრანსპორტო საშუალებების მიუთითებლობის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტებიდან მიღება-ჩაბარების აქტისა და საქონლის ხარისხის შესაბამისობის სერთიფიკატის წარმოუდგენლობის პირობებში, მიმწოდებელზე გადახდილია 449 499,5 ლარი.

დეპარტამენტის მიერ 5 შემთხვევაში⁹ განხორციელებულია სახელმწიფო შესყიდვა და შეძენილია 3000 კუბ.მ¹⁰, 449 499,5 ლარის ღირებულების მზა ბეტონი, რომელიც მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს ქობულეთის მუნიციპალიტეტს 2 250 კუბ.მ-337 500 ლარის ღირებულების და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს 750 კუბ.მ-119 999,5 ლარის ღირებულების. გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს ბ-20 ტიპის ბეტონის ნარევი (მუხლი 1,1) შესაბამისი სერთიფიკატის წარმოდგენით (მუხლი 2/ბ), შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. ხელშეკრულების 2.3 მუხლის თანახმად, მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელდეს სათანადო უფლებამოსილი პირების მიერ, რომლებსაც უნდა გაეფორმებინათ შესაბამისი აქტი ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით, ხოლო ხელშეკრულების 2.4 პუნქტის მიხედვით, ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

იმ პირობებში, როდესაც მიმწოდებლის ვალდებულება იყო საქონლის მუნიციპალიტეტებისათვის მიწოდება, სასაქონლო ზედნადებების მიხედვით 58 შემთხვევაში 350 კუბ.მ - 51 999 ლარის ღირებულების ბეტონის მიწოდება დაფიქსირებულია ტრანსპორტირების გარეშე, შესაბამისად არ არის იდენტიფიცირებული სატრანსპორტო საშუალების მარკა, მოდელი და სახელმწიფო ნომერი¹¹.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი მასალების მიხედვით, დაგეგმვის ეტაპზე შესასყიდი ბეტონის საჭიროებასთან დაკავშირებით არ არის შედგენილი ხარჯთაღრიცხვა და პროექტი, გაურკვეველია გზის რომელ მონაკვეთზე და რა ოდენობით უნდა განხორციელდეს ბეტონის სამუშაოები, დაუდგენელია როგორ განხორციელდა გზების უბნების შერჩევა და ბეტონის დაგება, რა პირობებში და რა ოდენობით.

წესის” მე-8 მუხლის მე-18, 21-ე პუნქტებისა და მე-10 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნები.

⁹ SPA -120022175, ხელშ, N181, 14/09/2012წ 400კმ-60 000 ლარი. SPA 120003468, ხელშ, N18, 07/03/2012წ 350კმ-52 000 ლარი, SPA 120020606, ხელშ, N147, 24/08/2012წ 1 000კმ- 150 000ლარი, SPA 120006197, ხელშ, N26, 27/03/2012წ 650კმ-97 500 ლარი, SPA 120021235, ხელშ, N151, 30/08/2012წ 600კმ-90 000 ლარი.

¹⁰ შპს „ბალავარი“-2 600კმ- 389 499,5 ლარი; შპს „იმპულსი და ინდივიდი“-400კმ-60 000 ლარი.

¹¹ ს/ზ N-0032199809; N-0031909544; N-0032596042; N0032595944-სულ 25კმ და სხვა.



4. დეპარტამენტის მიერ, მიმწოდებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და სატენდერო მასალებში წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში მითითებული შესყიდვის ობიექტები (გზის მონაკვეთები) ურთიერთშეუსაბამოა, ხოლო მთავრობის განკარგულებით გათვალისწინებული გზის მონაკვეთების ნაცვლად, სამუშაოები შესრულებულია გზის სხვა მონაკვეთზე (უბანზე), რაც პრეტენდენტთა შესაძლო შეზღუდვაზე მიუთითებს.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით ¹² დამტკიცებულ ღონისძიებებიდან „ქარნალის ხიდი-ქარნალი კმ 0+000-კმ 2+200 ასფალტობეტონის საფარის მოწყობის და ქარნალი-ჭალები (ტურისტული მიმართულება) კმ2+200-კმ4+800 გზის ქვიშა-ხრეშოვანი საფარის მოწყობისათვის, გზის გაფართოების და ახალი ხიდის მშენებლობისათვის გამოყოფილი იყო 698 900 ლარი. დეპარტამენტის მიერ 2012 წლის 13 მარტს გამოცხადებულ ტენდერში 698 900 ლარის შესყიდვის ობიექტად აღებულია „ქარნალის ხიდი-ქარნალი კმ0+000-კმ2+200 სიგრძით 2,2კმ ასფალტობეტონის საფარის მოწყობის და ქარნალი-ჭალები (ტურისტული მიმართულება) კმ2+200კმ4+800 სიგრძით 2,6 კმ გზის ქვიშა-ხრეშოვანი საფარის მოწყობა. ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შპს „გზას“ კი 2012 წლის 12 აპრილს გაუფორმდა N36 ხელშეკრულება¹³, სადაც შესყიდვის ობიექტად მითითებულია „ქარნალის ხიდი-ქარნალი კმ0+000-კმ2+200 გზის და ქარნალი-ჭალები (ტურისტული მიმართულება) კმ 2+200-კმ4+800 გზის სამუშაოები, თუმცა სატენდერო მასალებში წარმოდგენილ დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაში მითითებულია და შესრულებაც წარმოდგენილია 698 900 ლარით (სამუშაოს შესრულების აქტი) „ქარნალის ხიდი-ქარნალი კმ 0+000-კმ 2+200 ასფალტობეტონის საფარის მოწყობისა და ქარნალი-ჭალები (ტურისტული მიმართულება) კმ0+000-კმ2+600 გზის ქვიშა- ხრეშოვანი საფარის მოწყობა.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით ¹⁴ დამტკიცებულ ღონისძიებებით ახალშენის მეურნეობა-ესელიძეები კმ0+000-კმ0+300 მონაკვეთისათვის გათვალისწინებული იყო 140 000 ლარის ხარჯების გაწევა. დეპარტამენტის მიერ 2012 წლის 12 ივლისს გამოცხადებულ სატენდერო წინადადებაში (SPA 120019394) და შემდგომში ხელშეკრულებაში¹⁵ შესყიდვის ობიექტად მითითებულია კმ0+000-კმ0+300 გზის მონაკვეთი, თუმცა სატენდერო მასალებში წარმოდგენილ დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაში და შემდგომში სამუშაოს შესრულების აქტში მითითებულია, რომ 140 000 ლარით სამუშაოები შესრულებულია ახალშენის მეურნეობა-ესელიძეები კმ0+000-კმ0+346 გზის მონაკვეთზე.

¹² 2012 წლის 28 თებერვლის N31 და 14 დეკემბრის N212 განკარგულებები.

¹³ N36-12/04/2012წ SPA 120008260, 698 900 ლარი.

¹⁴ 2012 წლის 28 თებერვლის N31 და 14 დეკემბრის N212 განკარგულებები.

¹⁵ შპს გზა N132-13/08/2012წ- SPA 120019394, 140 000 ლარი.



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის ანგარიში

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით¹⁶ დამტკიცებულ ღონისძიებებით სარფი-კვარიათი (კალენდერე) კმ0+500-კმ2+000 გზაზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობისათვის გათვალისწინებული იყო 292 360 ლარის ხარჯების გაწევა. დეპარტამენტის მიერ 2012 წლის 30 ივლისს გამოცხადებულ სატენდერო განაცხადში (SPA 120020782) და შემდგომში გამარჯვებულ პრეტენდენტ შპს „გზას“-თან გაფორმებულ ხელშეკრულებაშიც შესყიდვის ობიექტად მითითებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ს/გზა სარფი-კვარიათი (კალენდერე) კმ.0+500-კმ.2+000 მონაკვეთი,¹⁷ თუმცა სატენდერო მასალებში წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში, სამუშაოს მოცულობის კრებსით უწყისში, საპროექტო დავალებაში და ბოლოს სამუშაოს შესრულების მიღება-ჩაბარების აქტშიც დადასტურებულია, რომ 292 360 ლარით სამუშაოები შესრულებულია კმ0+000-კმ1+500 გზაზე.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით¹⁸ დამტკიცებულ ღონისძიებებით რკ.გზის გადასასვლელი-კვირიკე ჰესი კმ3+200-კმ5+400 გზაზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობისათვის გათვალისწინებულია 580 100 ლარის ხარჯების გაწევა. დეპარტამენტის მიერ 2012 წლის 30 ივლისს გამოცხადებულ სატენდერო განაცხადშიც და შემდგომში გამარჯვებულ პრეტენდენტ (SPA 120020755) შპს „გზას“-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში¹⁹, შესყიდვის ობიექტად მითითებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტში ს/გზა რკ. გადასასვლელი-კვირიკე ჰესი კმ.3+200-კმ5+400 მონაკვეთზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობა, თუმცა სატენდერო მასალებში წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში და სამუშაოს შესრულებაზე მიღება-ჩაბარების აქტში დადასტურებულია, რომ 580 100 ლარით შესრულებულია კმ0+000-კმ2+200 გზის სამუშაოები.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

✓ აუდიტის პერიოდში დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებები და მექანიზმები პერიოდულად, საჭიროებიდან გამომდინარე გამოყენებულია სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის

¹⁶ 2012 წლის 14 დეკემბრის N212 განკარგულება.

¹⁷ N157, 30/08/2012წ. SPA 120020782, 292 360 ლარი.

¹⁸ 2012 წლის 28 თებერვლის N31 და 14 დეკემბრის N212 განკარგულებები.

¹⁹ N154-30/08/2012წ. SPA120020755, 580 100 ლარი.



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

პირობებში, არაერთგვაროვანი მიდგომაა ერთი და იგივე სახის, მარკის სატრანსპორტო საშუალებაზე და მექანიზმზე საწვავის სხვადასხვა ნორმით ჩამოწერასთან დაკავშირებით, რაც შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს, სახელდობრ:

- ა/მ კამაზ 55 111-ზე - ქედის მუნიციპალიტეტში 100 კმ-ის გავლაზე წვის ნორმად აღებულია 30.5 ლიტრი საწვავი, ხოლო შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში 34 ლიტრი საწვავი²⁰.

- ✓ ბელარუსი მტზ 82.1 - ქედის მუნიციპალიტეტში 1 მტ/სთ-ის მუშაობისათვის ჩამოწერილია 6,8 ლიტრი საწვავი, მაშინ როდესაც დანარჩენი მუნიციპალიტეტების მიერ წვის ნორმად აღებულია 6,1 ლიტრი საწვავი²¹.

- ✓ მძიმე ტექნიკის დაქირავებასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შპს „რალი კონტინენტალთან“ 2012 წლის 29 აგვისტოს გაფორმდა (SPA 120020604) ხელშეკრულება 397 000 ლარის მომსახურების გაწევაზე. სატენდერო და სახელშეკრულებო პირობა ითვალისწინებდა თვითმცლელი ავტომანქანის, ექსკავატორის, ბულდოზერის, ავტოგრეიდერის მომსახურების მოცულობებს და ერთ საათის დატვირთვაზე გადასახდელ ღირებულებებს. ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 დღის შემდეგ, 2012 წლის 6 სექტემბერს მხარეთა შორის გაფორმდა შეთანხმება და ავტოგრეიდერის მომსახურების ღირებულების ხარჯზე გაზრდილი იქნა „ავტომანქანა თვითმცლელის“ მომსახურების მოცულობა, ანალოგიურად „ექსკავატორი პნევმატურ სვლაზე“ გათვალისწინებული სამუშაო დროის შემცირების ხარჯზე, გაზრდილია ბულდოზერის მომსახურების საათობრივი მაჩვენებლები. ცალკეული ტექნიკისათვის გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვის ოდენობა, საჭიროება და ღირებულება სატენდერო წინადადების ძირითადი მაჩვენებლებია. შეთანხმების აუცილებლობასთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულება.

- ✓ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, აუდიტის პერიოდში დეპარტამენტის მეშვეობით, საკუთარი მექანიზმებით, ცალკეულ მუნიციპალიტეტებში - ტყეებში, სოციალური ჭრის ტყეკაფებში შესასვლელად გაყვანილია ახალი 20,6 კმ გზა და შეკეთებულია 16,3 კმ არსებული გზა²². აღნიშნული გზების გაყვანისა და რემონტისათვის დეპარტამენტის მიერ გაწეულია საწვავის სახით 55 483 ლიტრი, 117 069 ლარის საშუალო ღირებულების ხარჯი. აღნიშნული გზები არ არის შეტანილი საავტომობილო გზების ნუსხაში, არ არის განსაზღვრული და შედგენილი გზების გაყვანისათვის და რემონტისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაცია, არ

20 მინიმალური 30.5 ლიტრი ფაქტის გათვალისწინებით სხვაობა აუდიტის პერიოდში შეადგენს შუახევის მუნიციპალიტეტში 1980.6 ლიტრს, ხულოს მუნიციპალიტეტში 806.2 ლიტრს (დიზელის საწვავი).

21 აღნიშნულის გათვალისწინებით სხვაობა აუდიტის პერიოდში შეადგენს 1575,1 ლიტრს (დიზელის საწვავი).

²² ხულო - სულ 8 300 გ/მ- (ახალი - 5 100 გ/მ, შეკეთება -3 200 გ/მ); შუახევი -სულ 9 100 გ/მ (ახალი 4 400 გ/მ, შეკეთება 4 700 გ/მ); ქედა -სულ 10 000 გ/მ (ახალი 5 200 გ/მ, შეკეთება 4 800 გ/მ) ხელვაჩაური - სულ 8 400 გ/მ (ახალი 5 000 გ/მ, შეკეთება 3 400 გ/მ); ქობულეთი -სულ 4 700 გ/მ (ახალი - 3 000 გ/მ , შეკეთება 1 700 გ/მ)



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

არის გამოყოფილი მიწა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დეპარტამენტის მიერ ტყეკაფებში შესასვლელად გზების მოვლა-შენახვისა და განვითარებისათვის სამუშაოები განხორციელებულია „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 27-ე მუხლების პირობების გაუთვალისწინებლად, ხოლო იმის გამო, რომ გზები არ ირიცხება მათ ბალანსზე, დეპარტამენტი არ არის გზის მფლობელი და მესაკუთრე უწყება, სამუშაოების განხორციელებლად ხარჯების გაწევას აღნიშნული კანონის მე-13 მუხლი არ ითვალისწინებდა.

✓ დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ინვენტარიზაციის 2012 წლის 12 დეკემბრის აქტის (დანართი N7) მიხედვით, დეპარტამენტის სარგებლობაში არსებულ 51 ერთეულ მძიმე ტექნიკაზე (ტრაქტორები, ბულდოზერები, სატვირთო ავტომანქანები) არ არის მითითებული ექსპლუატაციაში შესვლის წელი, ღირებულება, მიღების თარიღი და ვისზეა გაპიროვნებული.

